

ქ. თბილისი
26 აპრილი, 2011 წელი

Tbilisi
April 26, 2011

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი როჯერ ჰენრი ვაიტი (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

LEPL “National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia” hereinafter referred to as “the Client”, represented by the General Director of the Agency **Nikoloz Vacheishvili** and physical person – **Roger Henry White**, hereinafter referred to as “the Supplier”, acting according to the Georgian Law enter into the following agreement:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ ბიუჯეტის სახსრებით, (ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ გრანტი - პროექტი „აღმოაჩინე არმაზციხე“-ს უზრუნველსაყოფად) არმაზციხის ძეგლის მართვის შემუშავების, სამომავლო საკონსერვაციო სამუშაოებისა და ვიზიტორთა მართვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სატრენინგო მომსახურების შესყიდვა (CPV კოდი 80500000) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია არმაზციხის ძეგლის მართვის შემუშავების, სამომავლო საკონსერვაციო სამუშაოებისა და ვიზიტორთა მართვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სატრენინგო მომსახურება.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 3488,90 (სამი ათას ოთხას ოთხმოცდარვა ლარი და 90 თეთრი) ლარის ეკვივალენტს აშშ დოლარში ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდები ხარჯების ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს 1.2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება 2011 წლის 26-30 აპრილს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია - ნინო ჭანიშვილი - სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს“ დიდი მცხეთის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის კოორდინატორი.

1. The subject and object of the contract

1.1. The subject of the contract is the procurement of the training service (CPV code 80500000) related to the management development of „Armaztsikhe“ monument, future conservation works and management improvement of visitors financed by the budget funds of LEPL “National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia” (for the maintenance of the „Open Society Georgia Foundation“ grant-project called „Discover Armaztsikhe“) under the terms and conditions of this agreement through a simplified procurement procedure.

1.2. The object of the contract is the training service related to development of the management system of „Armaztsikhe“ monument, future conservation works and improvement of the management of the visitors' flow.

2. The total cost of the contract

2.1. The total cost of the procurement object is an equivalent to 3488,90 GEL (three thousand four hundred and eighty-eight Georgian GEL and ninety Tetri) in US Dollars including other expenses under this agreement.

2.2. The total cost of the contract includes all expenses of the Supplier related to the services under this agreement and all the associated taxes under the Georgian Law.

3. The quality of the object

3.1. The supplier guarantees that the quality of the supplied object will meet the contract terms and satisfy the client demands.

3.2. The quality of the object should be in accordance with the existing standards and technical regulations of this field.

4. The delivery conditions of the procurement object

4.1. It is the obligation of the supplier to provide the client with the above mentioned service stipulated in Article 1.2, on April 26-30, 2011.

5. The acceptance of procurement object

5.1. The acceptance of the procurement object will be registered by the receipt act validated with the signature of the authorized representatives of the parties.

5.2. The authorized representative for inspecting the fulfillment of the contract terms and registration of the acts of receipt under this agreement is Nino Chanishvili, the coordinator of the Didi Mtskheta State Archaeological Museum-Reserve of LEPL “National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia”.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

6.3 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშუალოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. Payment conditions, terms (schedule) and location

6.1. The provided object price will be paid via bank transfer.

6.2. Payment will be made by the Client in 30 (thirty) days after the delivery of goods and signing the correspondent act of receipt by both parties.

6.3. The location where the payment should be made is Tbilisi.

7. Obligations of the parties

7.1. Rights of the Client:

- To examine whether the quality of the provided contract object complies with the agreement conditions;

7.2. Obligations of the Client:

- To make the payment under the terms and conditions of the agreement;

- To ensure the receipt of procurement object.

7.3. Rights of the Supplier:

- To require the payment of the procurement contract price from the Client under the terms and conditions of the agreement.

7.4. Obligations of the supplier:

- Comply with all conditions of the contract.

8. Liabilities of the parties in case of the contract violation

8.1. Violation of the contract obligations will result in acceptance of full liability in accordance with the existing legislation.

8.2. If either of the parties violates the agreement terms and conditions, the other party will be granted the right to require termination of the contract after expiration of additional period determined by the same party (a written form should be used for determining the additional period). If the nature of the obligation does not allow fixing the additional time then issuing a warning will be equal to setting the additional period.

8.3. As a result of violation of the contract conditions the parties will be imposed liability in accordance with the existing legislation.

8.4. After the expiration of the agreement the party has a right to require reimbursement of the losses, which had been caused by the violation of contract obligations perpetrated by the other party.

8.5. Corresponding articles of the Civil Code will be enacted with regard to expiration of the agreement and reimbursement of the losses.

8.6. In case of non-fulfillment of the contract obligations or violation of the contract terms the violator party will be imposed to pay a penalty, which will make 0,1% of the contract amount for every overdue day and in case of partial violation of the obligations, the penalty will amount to 0,1% of the violated part.

8.7. The payment of the penalty does not exempt the violator party from performing the contract obligations.

9. Validity of the agreement

The agreement is valid from the date of its signing by both parties to December 31, 2011 included.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯაროო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუზრუნველობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიწოდებლის შეცდომებთან და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

10. Implementation of contract amendments and supplements

10.1. In case of implementation of any amendment in the state procurement agreement, this amendment should be registered in a written form.

10.2. If in effect of amendment the total contract amount increases or the conditions for the client organization become worse, it will not be allowed to change the terms of state procurement agreement except for the cases established by the Article 398 of the Georgian Civil Code.

10.3. If the conditions established by Article 398 of the Georgian Civil Code come in effect, it will be prohibited to increase the total value of procurement agreement by more than 10%.

11. Force Majeure

11.1. If one of the parties is not able to fulfill their responsibilities or the implementation of liabilities is delayed due to force majeure circumstances no penalties will be imposed.

11.2. Force Majeure means the circumstances that are beyond the parties' control; those are the actions which in no case are derived from the ill-performance or negligence of either of the parties and which would be impossible to consider in advance. Such conditions could be the result of war, natural disasters, epidemic diseases, quarantine and embargo on delivery of goods, sharp cutting down of budget appropriations, etc.

11.3. In case of occurrence of Force Majeure situation, because of which either of the parties finds it impossible to execute their respective duties, they should notify the other party immediately in a written form, in which the causes of delay and the nature of hindering circumstances should be explained. If the message sender does not receive a written response from the counterpart, then the party will continue to fulfill its obligations stipulated by the contract, according to their own discretion and capabilities, trying to find such alternative ways and methods that would be independent from the influence of Force Majeure circumstances.

12. Disputes and methods of their resolution

12.1. During the implementation of this agreement, the disputes or differences in opinion can be resolved by way of mutual negotiations between the parties.

12.2. If a mutually acceptable agreement cannot be achieved, then either of the parties will be granted the right of appealing the case in the court of competent jurisdiction in Georgia.

13. Terms of the contract inspection

13.1. The Client is authorized to inspect the contract object in parallel to its delivery for the purpose of determination of its compliance to the terms and conditions required by the Client under this agreement.

13.2. The contract inspection will be carried out by the representative appointed by the Client as determined in Article 5.2 of this agreement.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი / The Client

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“
LEPL “National Agency for Cultural Heritage
Preservation of Georgia”

ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5
5 Tabukashvili Str.
Tbilisi

სახელმწიფო ხაზინა / National Treasury
კოდი / Code: 220101222
ა/ა № / Account: 200122900
ს/კოდი / Identification code: 204562311

გენერალური დირექტორი / General Director

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
Nikoloz Vacheishvili



13.3. If as a result of inspection any kind of defect or blemish is discovered, the Client should notify the Supplier in a written form about the reasons of rejection and also provide the numbers of defective contract objects.

13.4. According to Georgia's legislation, the Supplier will be charged by any expenses related to the recovery of the detected defect or blemish of the object; the Client should also be obliged to pay the reinspection fee.

14. Other conditions

14.1. Under the Georgian Legislation the parties will be imposed the obligation of reimbursing the damage.

14.2. Neither of the parties has the right to transfer its rights and obligations to the third party without a written confirmation from the partner party.

14.3. In relation with the third party, the parties will be acting to their discretion, expenses and risk.

14.4. This Agreement is produced in three copies, in Georgian language and each of them is endowed by equal judicial power. They will be kept by the signatory parties (the Supplier has one copy and the Client two copies). Any kind of correspondence related to this agreement must be carried out in Georgian.

14.5. Any kind of amendment or supplement to this agreement will be granted authorization after it is composed in a written form and signed by both parties.

15. Legal addresses and details about the Parties

The Supplier / მიმწოდებელი

P/P Roger Henry White
ფ/პ როჯერ ჰენრი ვაიტი

9 Alexandra Ave.
Shrewsbury, SY3 9HT, United Kingdom
ალექსანდრას გამზირი # 9
გაერთიანებული სამეფო, SY3 9HT შროსბური

Bank Details / საბანკო რეკვიზიტები
Nationwide Building Society branch number 0594
Account: 06490372
Sort Code: 07 0116

Passport / პასპორტის №: 107770770

Physical Person / ფიზიკური პირი

Roger Henry White
როჯერ ჰენრი ვაიტი